



მოგესალმებით პატივცემულო მეგობრებო,

პირველ რიგში მადლობას მოგახსენებთ საიტზე სტუმრობისათვის. 2003 წლიდან დღემდე Conference.ge მრავალი საქმიანი ადამიანისათვის იყო ინტელექტუალური “თავშესაფარი”, საქმიანი ინფორმაციის, იდეების და კონტაქტების წყარო. არაერთმა მათგანმა აქ დაჰყო მრავალი საათი თავისი ცოდნისა და გამოცდილების სხვისთვის უნაგაროდ გაზიარების მიზნით. ყველაფერი დადებითი და სასარგებლო რა თქმა უნდა გრძელდება სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან სიახლეებთან ერთად. მე მოხარული ვარ რომ საშუალება მაქვს მხარი დავუჭირო Conference.ge -ს შემდგომ განვითარებას და გადავაცეო იგი საქმიანი ადამიანისათვის კიდევ უფრო მეტად საჭირო და შეუცვლელ ინსტრუმენტად.

Conference.ge-ს ვიზუალური ცვლილების გარდა პრინციპულად შეცვლილია რეგისტრაციის და წევრობის სისტემა. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია თავისუფლად დარეგისტრირდეს 1 წუთში და უკვე ჩაებას დისკუსიებში. ყველა ბარიერი მოხსნილია. შემცირებულია განყოფილებათა რაოდენობაც, მხოლოდ სამი - ყველაზე საჭირო დარჩა: ბიზნეს ინფორმაცია, ბიზნეს დისკუსია და ბიზნეს კონსულტაცია.

ბიზნეს ინფორმაციის ნაწილში ინფორმაცია რუბრიკების სახით განთავსდება. მაგალითად: საქართველოს და მსოფლიო ბიზნესის განსაკუთრებული სიახლეები, სტატიები, კომპანიათა სიახლეები / პრეს რელიზები / შეთავაზებები, ქართული წარმოების პროდუქტები, მიღწევები, კვლევები და ა.შ. ... ყველაფერი ის, რაც საქმიანი ადამიანისათვის საინტერესო და საჭირო იქნება. ყველა საქმიანი დისკუსია მოხდება ბიზნეს დისკუსიის განყოფილებაში, სადაც მხოლოდ ბიზნესზე საუბრით შემოვიფარგლებით. ბიზნეს კონსულტაციის ნაწილი სპეციალურად მათთვისაა, ვისაც ბიზნესი აქვს, ან დაწყებას აპირებს და პროფესიონალური კონსულტაცია სჭირდება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მნიშვნელოვანე სიახლე, რომელიც Conference.ge-ს აუდიტორიას შორის კავშირების განვითარებას მოემსახურება. ეს არის ბიზნეს ლანჩების სისტემა, რომელიც მალე ამოქმედდება.

და ბოლოს ...

მოხარული ვარ რომ Conference.ge ისევ გამოცოცხლდა და სულ უფრო და უფრო საჭირო ხდება თითოეული თქვენგანისათვის.

**პატივისცემით,**

ტარიელ ზივზივაძე

დირექტორი: MARNET Associates LLC

მობ #: 995 77 73 79 64

ელ-ფოსტა: [marnetllc@gmail.com](mailto:marnetllc@gmail.com); [business@conference.ge](mailto:business@conference.ge); [admin@marketing.ge](mailto:admin@marketing.ge)

ვებ საიტი: [www.sbo.ge](http://www.sbo.ge); [www.conference.ge](http://www.conference.ge); [www.marketing.ge](http://www.marketing.ge)